ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7322651

ნომერი: AR11069144

თარიღი : 10.12.2024

გაცემის თარიღი : 17.12.2024

გაცნობის თარიღი : 17.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი/კერესელიძის , N 9/19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ტყეშელაშვილი პ/ნ 01017017470
- თბილისი ი.გოგებაშვილი-ივ.კერესელიძის ქ. N 9/19

ორგანიზაცია:

- შპს ურბანჰოტელი კოდი: 404454256

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარე განაცხადზე წარმოდგენილია კომპიუტერული მანიპულაციითაა დამუშავებული ფოტოები. ამასთან, 2024 წლის 25 ნოემბრის AR11067622 განაცხადზე წარმოდგენილი ფოტოების მიხედვით დგინდება, რომ გარკვეული სამუშაოები განხორციელებულია უნებართვოდ (მაგალითად ტერასაზე მოწყობილია ლითონის შემინული კონსტრუქციები), რაც სცილდება პირველ კლასს. საჭიროა სამსახურს მომართით შესაბამისი ნომენკლატურით.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალსიწინებით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.